ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3537101

ნომერი: AR1534282

თარიღი : 21.08.2017

გაცემის თარიღი : 18.09.2017

გაცნობის თარიღი : 18.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძე , N 1 , (ნაკვეთი N1/17) / ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძე , N 1 , (ნაკვეთი N1/16) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ პატარიძე პ/ნ 41001001093
- თბილისი საბურთალოს ქ. N 67ა ბ. 19

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 ივლისის №275917 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 21 აგვისტოს AR1534282 განცხადებით მომართა ვლადიმერ პატარიძემ, რომელმაც მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 ივლისის №275917 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ”ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” 2012 წლის 18 ივლისის

სხდომის №28 ოქმის და ქ. თბილისის მერის 2012 წლის 24 ივლისის №2119 განკარგულების საფუძველზე, ქ.თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 ივლისის №275917 გადაწყვეტილებით, ქ.თბილისში, შეშელიძის ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.19.001.017, ფართობი: 1000 კვ.მ) ავტოგაზგასამართი სადგურის განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
ქ.თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 3 ივნისის №719503 ბრძანებით, 2012 წლის 26 ივლისის №275917 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შეტანილ იქნა ცვლილება, კერძოდ, მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდა – 1189 კვ.მ ხოლო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდად დაფიქსირდა – 01.11.19.001.026, ამასთან, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატა ახალი საკადასტრო რუკა (განაცხადის რეგისტრაცია #882013228532, მომზადების თარიღი: 22.05.13, საკადასტრო კოდი:01.11.19.001.026).
ამჟამად, განმცხადებელი ითხოვს ქ.თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 ივლისის №275917 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას, კერძოდ საპროექტო ობიექტად ავტოგაზ, ბენზინ და დიზელ გასამართი სადგურის დაფიქსირებას.
ქ. თბილისის მერის 2012 წლის 24 ივლისის N2119 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხი განხილულ იქნა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ 2017 წლის 24 აგვისტოს N34 სხდომაზე, სადაც მიეცა დადებითი რეკომენდაცია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ.თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 ივლისის №275917 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: ავტო გაზ, ბენზინ და დიზელ გასამართი სადგური;
2. ქ.თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 ივლისის №275917 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დაფიქსირდეს ქ. თბილისის მერის 2012 წლის 24 ივლისის N2119 განკარგულება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 05 სექტემბრის N1-1958 ბრძანება;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ.თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 ივლისის №275917 გადაწყვეტილებასთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.